# "მწუხარებამან აღავსნო გული"

საქართველოს დედაქალაქში ერთხელ კიდევ დაიღვარა უმანკო სისხლი. უდანაშაულო ვაჟკაცები და ქალწულები წამებით აჩეხეს. თბილისში ქვები ღაღადებენ.

სისხლის მეტი რა უნახავს ათასობით ტაძრის მშენებელ ერს! ტვირთი ჩვენი, რომელიც შუმერების ჟამს ვიტვირთეთ, მძიმეა, ათასწლეულებში ვეზიდებით და არც ვაპირებთ მის დათმობას მიწურ განცხრომაზე, მაგრამ ახლა ეს სისხლი ბარბაროსული სისასტიკით დაიღვარა და ეს ამძიმებს დანაშაულს.

ისტორიაში ვერ მიპოვნია მსგავსი მაგალითი, როცა უმწეო მოშიმშილე ქალებს ურჩხულები თავს ესხმიან და წამებით ჩეხავენ. შეიძლება გაიხსენოთ ძველ ასირიელთა სისასტიკე, ნორვეგიელ ბერზერკერთა სიშმაგე და შუამთელ ქალწულთა ანიოკება ყიზილბაშებისაგან. მაგრამ საერთოდ თვით ყიზილბაშები ქალებს ჰარამხანებში ერეკებოდნენ, კი არ ხოცავდნენ.

ყველაფერი ჩვენს თვალწინ მოხდა, მაგრამ ზოგმა გაზეთმა აშკარად დამახინჯებული ცნობები მოგვაწოდა, რაც საჯაროობის ზურგში ჩაცემული მახვილია. თითქოს ზედახორის დროს დაიღუპნენ, თითქოს ჩვენს ბიჭებს ესროლოთ პირველად ცივი იარაღი. ვინ დაიჯერებს ამ უხამს მითებს! ტანკებს ახალგაზრდები ტაშით შეხვდნენ, მათ კი შემოუარეს და მშვიდობიან ხალხს დაუწყეს განურჩეველად ხოცვა-ჟლეტა. შეუწყნარებელია ფაქტიც და მრუდე ინფორმაციაც.

პრესაში, ტელევიზიაში, გამოსვლებში ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით ხშირად ისმის სიტყვა ვანდალიზმი, ანტიჰუმანური მოქმედება, მაგრამ ეს სიტყვებიც რბილად გვეჩვენება. მით უმეტეს, თუ ასე მძლავრობ შენსავე მოძმეებზე, საქმე პათოლოგიურ ასპექტში გადადის. არც ვანდალები ერჩოდნენ ფეხმძიმე ქალებს. გულმხეცმა შაჰ აბასმა ერთი ქეთევანი აწამა, აქ კი სულ ცოტა თოთხმეტი ქეთევანი ეწამა ერთ შავბედით საათში. დამნაშავემ ალბათ არც კი იცის, რომ სიძულვილი მახვილზე სახიფათოა.

ეს ხომ ასეა და ათასჯერ ითქვა, მაგრამ უარესიც რომ არ მოხდეს (ნიანგები, პირაიები, ზვიგენები სისხლიან კვალს ეტანებიან), მეც ყველას სიმშვიდისაკენ მინდა მოვუწოდო. ხშირად სიმშვიდე-მორჩილებაა და შფოთი – თვითმკვლელობა. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს.

საჯაროობისა და დემოკრატიის ატმოსფეროში დენთის სუნი არ უნდა ტრიალებდეს. ადამიანებს ძლივს მიეცათ აზრისა და თვალსაზრისის გამოთქმის ნება. მოვიდა ვიღაც უნდო ურდო და გზა გადაუკეტა კანონიერებას. რა არის ეს? ქვეყნად არსებობს ან დემოკრატია, ან დიქტატურა. შუა გზა არ არის. ჩანს, დემოკრატიას ჯერ კიდევ მოეძებნება შმაგი მოწინააღმდეგეები. როცა იკრძალება ის, რაც ნებადართულია, ჩნდება რეციდივი, მიდრეკილება იმისკენ, რასაც ვგმობთ და ანათემას ვუცხადებთ.

თუ ვინმეს საქართველო და თავისუფლება ჩემზე მეტად ეყვარება, მე მას შურით შევხედავ, თუმცა შური უცხოფენია ჩემთვის. მაგრამ სწორედ ამიტომაც დღეს სიმშვიდისა და სტაბილურობისაკენ მოვუწოდებ ყველას, პირველ რიგში ჩემს მკითხველებს. საჭიროა ემოციების დაოკება, სოკრატეს ზომიერების გახსენება და რისხვის დადება გონიერების სასწორზე.

აქ ორიგინალურს ვერაფერს იტყვი. გავიმეორებ გამოჩენილ თანამედროვეთა რჩევას: სიბრძნეს ვუხმოთ! ნუ შევეჭიდებით იმას, რაც ჩვენზე ძლიერია (ზოგს ხომ ძლიერება მკლავის ღონე და სიმრავლე ჰგონია, არა გონების ძალა), შევინარჩუნოთ სამომავლოდ ის ძალები, რომლებიც ჩვენს შვილთა შვილებს დასჭირდებათ ყველა სანუკვარი ოცნების ასრულებაში.

ვიქტორ ჰიუგო წერდა: პატარა ერები არ არსებობენ. საქმით, ზომიერებით, შემოქმედებით, სიბრძნითა და მოთმინებით დავუმტკიცოთ ყველას, რომ პატარა ერები არსებობენ, და ხშირად დიდ ერებზე დიდებულნიც არიან. განა ქვეყნად ამისი შეუდარებელი მაგალითი არაა ქართველი ერი? ჩვენ არა გვაქვს უფლება არ მოვუფრთხილდეთ ამ ერს და მის ყოველ შვილს. გვახსოვდეს პოეტის სიტყვები: "საქართველოვ, შენ სადა გყავს შვილი დასაკარგავი!"

აკაკი გელოვანი